# შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№17 (9.631)

17-24 მაისი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყარო


## სადღაც ბავშვობა მთავრდება...

16 მაისს დედოფლისწყაროს კულტურის სახლის მაყურებელთა დარბაზი გადაჭედილი იყო ხალხით: მშობლები, პედაგოგები და სხვადასხვა სკოლის ახალგაზრდები, ვინ არ ელოდა სცენის გახსნას. სცენა კი ამ დღეს სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის XIIბ კლასის კურსდამთავრებულებს ეკუთვნოდათ, რომლებმაც თორმეტწლიანი სასკოლო ცხოვრების დასასრულს ბოლო ღონისძიება -„ბოლო ზარი" გამართეს.

პედაგოგ ლელა ჯავაშვილს, რომელიც, რვა წლის განმავლობაში, აღნიშნული კურსდამთავრებულების კლასის ხელმძღვანელი გახლდათ, თავისი სადამრიგებლო კლასის 22 მოსწავლისთვის ძალიან ლამაზი სცენარი მოუმზადებია. ეს იყო ერთ-ერთი ბოლო ზარი, რომელმაც მთელი ღონისძიების მსვლელობისას ემოცია და ცრემლი არ გამიშრო თვალებში. „ჩვენ ხორნაბუჯის სკოლა ვართ" - ამ სათაურით მაყურებელმა ეკრანზე გამოტანილი ის ფოტომასალა იხილა, რომელიც მთელი თორმეტწლიანი მოსწავლეობის პერიოდში სკოლაში გადახდათ ბავშვებს. იყო კითხვებიც, რას განიცდი დღეს, რა მოგცა თორმეტმა წელმა და რა გაქვს დასახული მიზნად?! - რაზეც პასუხები ისევ და ისევ ბოლო ზარის მასპინძლებისგან მოვისმინეთ.



შემდეგ კი ყველაფერი პირველი კლასიდან დაიწყეს, როდესაც „აი იას" -წერა მათმა პირველმა პედაგოგმა ასწავლათ. მათდამი მიძღვნილი ლამაზი სიტყვების შემდეგ ბავშვებმა ვარდები გადასცეს თავის პირველ პედაგოგებს ნანა ბიკაშვილს და ირმა გარსენიშვილს.

მაყურებელი მოხიბლა ცეკვების პოპურმა, რომელიც ქართული ხალხური ცეკვების ევროპულთან ნაზავი იყო. მოსწავლეებმა თანამედროვე სიმღერები შინაარსობრივად მოარგეს ცალკეული საგნის პედაგოგებს. თითოეულ მათგანს, სიმღერასთან ერთად, ვარდების თაიგული და სამახსოვრო პრიზები გადასცეს.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა და ბავშვებს გზა დაულოცა სკოლის დირექტორმა ლალი მენთეშაშვილმა, ასევე სიტყვაში გამოიწვიეს კლასის ხელმძღვანელი ლელა ჯავაშვილი, რომელმაც ცრემლების გარეშე ვერ მოახერხა ბავშვებთან დამშვიდობება.

ამაღელვებელი აღმოჩნდა რაიონის გამგებლის ნიკოლოზ ჯანიაშვილის მიმართვა სკოლის კურსდამთავრებულებისადმი. რომლის გამოსვლაშიც დიდი ოპტიმიზმი იგრძნობოდა: -„ბავშვებო, გიყურებდით და ვფიქრობდი, რომ ჩვენ, თქვენი სახით, მართლაც, ძალიან ლამაზი და ძლიერი ახალი თაობა გვეზრდება, ძალიან კარგები ხართ, კრეატიულები და შემოქმედები. მჯერა, მალე თქვენით ვიამაყებთ. გაუმარჯოს ხორნაბუჯის მე-12 ა და ბ კლასებს, გაუმარჯოს ხორნაბუჯის სკოლას."-განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

მეთორმეტეკლასელებმა ბოლო ზარი პარაპლანის ჰაერში გაშვებით დაასრულეს, რომელზეც მათივე სურვილები და ჩანაფიქრები იყო მიბმული.

ლალი მეხრიშვილი

## 2015 წლისთვის საქართველოში უშუქოდ არცერთი სოფელი აღარ იქნება

მთავრობამ უშუქო სოფლების ელექტროფიკაციის პროექტი „სინათლე ყველა სოფელს" დაამტკიცა. პროექტის ფარგლებში წლების განმავლობაში უშუქოდ დარჩენილი 28 სოფლიდან 8 სოფელს ელექტროენერგია უკვე მიეწოდება, 9 სოფლის ელექტროფიკაცია ახლა მიმდინარეობს, 2015 წლის ბოლომდე კი საქართველოში შუქის გარეშე არცერთი სოფელი არ იქნება დარჩენილი.

ელექტროგადამცემი ხაზებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის პროექტირების, ასევე მშენებლობასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების დასაფინანსებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2014 წლის ბიუჯეტიდან, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 6 500 000 ლარი გამოუყო.

ამ ეტაპზე ელექტროფიცირების სამუშაობი დასრულდა და ელექტროენერგია უკვე მიეწოდება 8 სოფელს: ღართა, გოსტიბე, ბევრეთი, გრძელველი, ზემო ქსოვრისი, უტისუბანი, ლელეთი, ჭიაურა.

უახლოეს პერიოდში ელექტროფიცირების სამუშაოები დაიწყება სოფლებში ჭერემი; კაწალხევი, სოგუთლო, ცხავერი, ოქროსოფელი, გაგლოანთუბანი, შროშა (ექსეულიძეების უბანი), ნოჯა, კოშკასყელი, ნოჯიკეთი, ქვემო და ზემო ღარისწყალი, ლელუბანი, კარსანი.

აშშ—ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით განხორციელდა ელექტროფიკაციის სამუშაოები ოთხ სოფელში: მამიშლარი, იმერხევი, ჭართალა, შატილი, რაზედაც 400 ათასი დოლარი დაიხარჯა.



### მათ რაიონის გარეთ გვასახელეს



გვ. 4

### ჰომოფობია და საზოგადოება

გვ. 6




### თამარ მეფის ქმრის ესკიზი პირველად გამოქვეყნდა

გვ. 5

### გამარჯვებულები ცხოვრების წინსვლას მომავალი წლიდან მეტად იგრძნობენ



გვ. 3

C M Y K

# ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა მოხელე ატესტაციას დაექვემდებარება

ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა მოხელე ატესტაციას დაექვემდებარება. ამასთან, უქმდება კანონის ის ნორმა, რომლის შესაბამისად, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შემდეგ ყველა მოხელე მოვალეობის შემსრულებლად უნდა ჩაითვალოს.

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილეს პარლამენტის წევრების გია ჟორჟოლიანისა და ვახტანგ ხმალაძის საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა მოხელე ატესტაციას დაექვემდებარება. ამ მიზნით ცვლილება „საჯარო სამსახურის შესახებ“ მოქმედ კანონში შედის. კანონპროექტს პარლამენტი დაჩქარებული წესით განიხილავს.

როგორც ერთ-ერთმა ინიციატორმა გია ჟორჟოლიანმა აღნიშნა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტის მიზანია, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ამოქმედების შემდეგ შენარჩუნებულ იქნეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის რეგულირება და ატესტაციას, სხვა საჯარო მოსამსახურეებთან ერთად, ასევე დაექვემდებარებიან ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეებიც. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების შემდეგ ამოქმედდება.

პირველი მოსმენით, პრინციპების დონეზე განიხილეს კანონპროექტი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტი.

პროექტის მიხედვით, უნდა გაუქმდეს მოქმედი კანონის ის ნორმა, რომლის შესაბამისად 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა მოხელე მოვალეობის შემსრულებლად უნდა ჩაითვალოს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიღებას უკავშირდება ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა, რაც თავის მხრივ ადგილობრივი თვითმმართველობის შტატების ოპტიმიზაციას, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციურ ცვლილებებს ითვალისწინებს. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები სავალდებულო რეორგანიზაციას დაექვემდებარებიან, რაც თანამდებობისათვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ადგილობრივი მომსახურეების შესაბამისობის გადაფასების საჭიროებას წარმოშობს“, — ნათქვამია განმარტებით ბარათში.

გია ჟორჟოლიანის თქმით, აღნიშნული მიზნის მიღწევა მიზანშეწონილია განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა სწავლების სისტემის განვითარებით, რასაც უკვე ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, ასევე, კვალიფიკაციის შეფასების მექანიზმის გამოყენებით, რომელიც კანონით უნდა განისაზღვროს.

პარლამენტი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტსაც დაჩქარებული წესით განიხილავს.

# აწარმოე საქართველოში” – მთავრობა ახალი სახელმწიფო პროგრამის განხორციელებას იწყებს

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საკითხებზე იმსჯელეს დღეს ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციაში საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა.

“აწარმოე საქართველოში” - ასე ჰქვია სახელმწიფო პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს წარმოებაზე ორიენტირებული პრიორიტეტული ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობასა და ადგილობრივი წარმოების განვითარებას. პროექტის მიმართულებებია - სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავება და ინდუსტრიული პროდუქტის წარმოება.

ეკონომიკური საბჭოს წევრებმა სახელმწიფო პროგრამის ძირითადი პრინციპები განიხილეს და პროექტის განსახორციელებელი სამოქმედო გეგმები დასახეს. პროექტის პრეზენტაცია უახლოეს მომავალში გაიმართება.

# ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება 27 ივნისს გაფორმდება

საქართველო ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას ხელს 27 ივნისს მოაწერს. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ევროპის საბჭოს პრეზიდენტ, ჰერმან ვან რომპეისთან გამართული ერთობლივი პრესკონფერენციის დროს განაცხადა.

„მივესალმებით ევროკავშირის ძალისხმევას, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ დაჩქარდეს საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი პროცედურები, რათა მაქსიმალურად მოკლე დროში მოეწეროს ხელი ასოცირების შეთანხმებას. ამ უმნიშვნელოვანესი შეთანხმების ხელმოწერა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობას თვისობრივად სრულიად ახალ ეტაპზე გადაიყვანს და შეუქცევადს გახდის ქვეყნის ევროინტეგრაციას“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, საქართველო ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ფართომასშტაბიანი რეფორმების განხორციელებისთვის მზად არის. პრემიერმა ევროკავშირს „მეტი-მეტისთვის“ პრინციპის ფარგლებში, საქართველოს 30 მილიონი ევროს ოდენობის დახმარების გამოყოფისთვის მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ ეს თანხა მიმართული იქნება ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებაში ჩართული საჯარო ინსტიტუტების მოდერნიზაციისკენ.

ღარიბაშვილის განცხადებით, ევროპის საბჭოს პრეზიდენტთან შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შემოღების მნიშვნელობაზეც.

თავის მხრივ ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა ჰერმან ვან რომპუიმ ყურადღება გაამახვილა საქართველო—ევროკავშირის ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივებზე. მისი განცხადებით, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა მნიშვნელოვანია, მაგრამ ის არ არის საბოლოო ეტაპი საქართველო—ევროკავშირის ურთიერთობებში.

„ბატონო პრემიერო, მინდა გულთბილად გიმასპინძლოთ ბრიუსელში, როდესაც შევხვდებით ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად. ჩვენ სრულად ვაღიარებთ საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს. ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემთხვევაში ჩვენ საერთო მომავალი გვექნება. მაღალ შეფასებას ვაძლევ პრემიერ—მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ განხორციელებულ რეფორმებს,“—განაცხადა ჰერმან ვან რომპუიმ.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას საქართველოს მხრიდან ხელს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მოაწერს.

# სისხლის სამართლის კოდექსში ჯარიმასთან დაკავშირებით ცვლილებები შედის

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში ცვლილებები შედის. კანონპროექტის მიხედვით, ჯარიმა არ შეიძლება პირს დაეკისროს, თუკი სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, ან მუხლის ნაწილი ჯარიმას, როგორც დამატებით სასჯელს, არ ითვალისწინებს.

იუსტიციის მინისტრის მოადგილის ალექსანდრე ბარამიძის განცხადებით, ჯარიმას ახდევინებდნენ ყველა შემთხვევაში, განურჩევლად იმისა, ითვალისწინებდა თუ არა სასჯელის ამგვარ სახეს სისხლის სამართლის კოდექსის რომელიმე ცალკე აღებული მუხლი.

მისივე განცხადებით, წესდება ჯარიმის ზღვარიც, რადგან არ იყო დადგენილი ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა.

„თუ გადამხდელი მდიდარი იყო, აკისრებდნენ დიდი ოდენობის ჯარიმას, ხოლო თუ ღარიბი იყო, იმავე ქმედებისთვის აკისრებდნენ ნაკლებს. რიტორიკულია კითხვა, თუ რამდენად სამართლიანია ეს. აქედან გამომდინარე, განსაზღვრული იქნება ჯარიმის მაქსიმალური ოდენობები და ასევე დღეებთან მიბმული გამოთვლის წესი. ხდებოდა ისე, რომ ოფიციალურად გირაოს თანხას ახდევინებდნენ და შემდეგ ამას სასჯელად აფორმებდნენ და ჯარიმად უთვლიდნენ. ეს დღეს პრაქტიკაში აღარ მოქმედებს, მაგრამ გადაიკეტება საკანონმდებლო მექანიზმებითაც“, — განაცხადა ბარამიძემ.

# საპროცესო შეთანხმების გაფორმების პირობები იცვლება

საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილებები შედის. იუსტიციის მინისტრის მოადგილის ალექსანდრე ბარამიძის განცხადებით, ცვლილებათა პაკეტის არსი საპროცესო ინსტიტუტის გარდაქმნა, მისი მანკიერი მხარეებისაგან გათავისუფლება და მოქნილ ინსტრუმენტად ჩამოყალიბებაა.

ბარამიძის თქმით, ცვლილებების შედეგად აღნიშნული ინსტიტუტი სწრაფ და სამართლიან მართლმსაჯულებას უზრუნველყოფს, შეთანხმების გაფორმების პროცესი კი გამჭვირვალე გახდება.

„საპროცესო შეთანხმების დადების პროცესში პროკურორი ვალდებული იქნება, გაითვალისწინოს არამარტო ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ქმედების მართლსაწინააღმდეგობა და ბრალეულობის ხარისხი, როგორც ეს დღეს მოქმედი კანონმდებლობითაა განსაზღვრული, არამედ ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა: სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები, ბრალეულის საზოგადოებრივი საშიშროება, დანაშაულის ხასიათი, ბრალეულობის ხარისხი, ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები, ნასამართლობა. კანონპროექტის ნოვაციას საპროცესო შეთანხმების ოქმის შედგენის ვალდებულების შემოღება წარმოადგენს. ის უნდა ასახავდეს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მოლაპარაკების პროცესს და ხელმისაწვდომი იყოს დაცვის მხარისათვის. აუცილებელი ხდება დოკუმენტის დართვა სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობას საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ. შეთანხმების გაფორმებამდე ბრალდებულს უნდა განემარტოს საპროცესო შეთანხმების ყველა სამართლებრივი შედეგი, მათ შორის, ის გარემოება, რომ შეთანხმების გაფორმება იწვევს პირის ნასამართლობას“,- აღნიშნა ალექსანდრე ბარამიძემ.

მისივე განცხადებით, ახლებურად რეგულირდება დაზარალებული მხარის უფლებებიც. მოქმედი კანონმდებლობა საპროცესო შეთანხმების დადებამდე პროკურორის მხოლოდ დაზარალებულთან კონსულტაციას და მის ინფორმირებას ავალდებულებს. იმ შემთხვევაში კი, თუ პროკურორმა დაზარალებულის ინტერესები არ გაითვალისწინა ან ზიანის შეუსაბამო სასჯელი მოითხოვა, დაზარალებულს მისი გასაჩივრების უფლება არ აქვს. კანონპროექტის მიხედვით, დაზარალებულ მხარეს საშუალება ეძლევა, დაესწროს სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შუამდგომლობის განხილვას და გამოთქვას მოსაზრება მისი კანონიერებისა და სამართლიანობის შესახებ. ამასთან, დაზარალებულს, თუ მას არ შეუძლია ან არ სურს პროცესზე დასწრება, შეეძლება, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე საკუთარი მოსაზრებები მოსამართლეს წერილობით წარუდგინოს.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას განცხადებით, საპროცესო შეთანხმება 2005 წელს შევიდა ძალაში და მისი ძირითადი არსი თანხის გადახდა გახდა, რამაც მართლმასაჯულება სავაჭრო სივრცედ აქცია და ათასობით ადამიანის უფლება დაარღვია.

# თეა წულუკიანი – საჯარო მოხელის ადგილებს კომპეტენტური კადრები დატოვებენ

თუ საჯარო მოხელის ხელფასები არ იქნება ადეკვატური, საჯარო სამსახური ძალიან მალე გახდება აბსოლუტურად უინტერესო და მას კომპეტენტური კადრები დატოვებენ, - ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა “ტელეიმედის” გადაცემა “რეაქციაში” განაცხადა, რითაც სამინისტროებში გაცემულ მაღალ პრემიებსა და სახელფასო დანამატებს გამოეხმაურა.

მისივე აზრით, საჯარო სამსახურებს კერძო სექტორის კონკურენცია უჭირს. “მე ვეთანხმები პრინციპს, რომლის თანახმადაც, ადამიანი როცა შრომობს, მას უნდა ჰქონდეს ადეკვატური ანაზღაურება. დღეს ჩვენს ქვეყანაში უმეტეს შემთხვევებში ეს ასე არ არის. საჯარო სამსახურში თუ ხელფასები არ იქნება ადეკვატური, თუ საჯარო მოხელეები, მათ შორის პოლიტიკური თანამდებობის პირები არ მიიღებენ პრემიებს, საჯარო სამსახური ძალიან მალე გახდება აბსოლუტურად უინტერესო და მას დატოვებენ კომპეტენტური კადრები. მე ხელზე მაქვს 5 ათასი ლარი, მაშინ, როცა წლების განმავლობაში, სტრასბურგის სასამართლოში თვეში მქონდა 17-18 ათასი ლარი, მაგრამ ვთვლი, ეს ის ხელფასია, რომელიც ღირს რომ ვემსახურო სამშობლოს. ის საჯარო მოხელეები, რომლებიც ჩემთან მუშაობენ, არიან კვალიფიციურები. როგორც კი მათ არ ექნებათ ადეკვატური ანაზღაურება, გადავლენ კერძო სექტორში. დღეს საჯარო სამსახურში ჩვენ ვცდილობთ და ძლივს ვახერხებთ კონკურენცია გავუწიოთ კერძო სექტორს, ამიტომ ის, ვინც იმსახურებს, დიახ, უნდა ჰქონდეს პრემია. თქვენ თუ გგონიათ რომ ჩემი წინამორბედი თვეში 5 ათას ლარზე მუშაობდა, ძალიან ცდებით. ადრე იყო ელიტური კორუფცია. ნურავის ეგონება, რომ წინა ხელისუფლების პირობებში ნაკლები თანხები იხარჯებოდა”, - განაცხადა წულუკიანმა.

რაც შეეხება უშუალოდ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში გაცემულ პრემიებს, მინისტრის შეფასებით, ეს არის ცუდი ფაქტი და დასანანია, რომ პირმა, ვინც შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო, მინისტრს არ შეატყობინა. “მაგრამ მე არ ვთვლი, რომ ამ ფაქტის გამო მინისტრი უნდა გადადგეს. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, საიდან მოდის ქართული ციხეები. ეს გახლდათ ის ადგილი, სადაც ჩურჩული იყო წესი და ჩურჩულს რომ თავი დავანებოთ, ხალხს აუპატიურებდნენ. სოზარ სუბარს ჩაბარდა ყველაზე მძიმე სისტემა და მან ამ სისტემას მიხედა. მინდა ხაზი გავუსვა მისი გუნდის წევრებსაც - მხოლოდ მისი ერთი მოადგილე, არჩილ თალაკვაძე რომ ავიღოთ, “ნაციონალური მოძრაობის” მთელ მთავრობას ჯიბეში ჩაისვამს — ესაა ის ხალხი, რომელმაც ციხეში ისეთი სამედიცინო სისტემა და მათ შორის “ც” ჰეპატიტის მკურნალობა შეიტანა, რომ მიხუმრია კიდეც სოზართან, თუ ეს დაავადება გამიჩნდა, მოგთხოვ, ციხეში ჩამსვათქო”, - აღნიშნა წულუკიანმა.

# გამარჯვებელები ცხოვრების წინსვლას მომავალი წლიდან მეტად იგრძნობენ

სოფელი გამარჯვება ტერიტორიულად არც ისე შორსაა რაიონიდან, მათ პრობლემასა თუ წინსვლაზეც ბევრად ადვილად მიგვიწვდება ხელი, ვიდრე სხვა სოფლების ავ-კარგიანობაზე. მოსახლეობაც ხშირად გვაკითხავს, ზოგი პრობლემებს წამოჭრის, ზოგიც მადლიერებას გამოთქვამს. ხომ გაგვიგონია ქართული ხალხური ლექსი - „სოფელო მიეთ-მოეთო, საბრუნავისა მახეო! ზოგსა ცათამდის აიყვან, ზოგსა უკუღმა დაჰხევო.“ - ჩვენ მოვალენი ვართ, ხალხის ნათქვამი მოვისმინოთ და სოფლის ცხოვრების რეალური სურათი დავხატოთ.



-„ჩვენი სოფლის გასაჭირი უამრავია, რომელი ერთი ჩამოვთვალო, საერთო ჯამში მოსახლეობას მაინც უჭირს, სოციალური ფონი დაბალია, ერთი აფთიაქი რა გაუხდა სოფელს , რომ ისიც არაა სოფელში, წამალი რომ გინდოდეს, რაიონში თუ არ წახვედი, ისე ვერ იყიდი, კაცი უწამლოდ მოკვდება, კერძო აფთიაქები გახსნა ხალხმა, მაგრამ მოგება ვერავინ ნახა და დახურეს. სახელმწიფომ რომ გახსნას, განა არ შეიძლება?!“-ამბობს ხათუნა ჯანაშვილი და იქვე პირად პრობლემებზეც საუბრობს,-„ სოფლის რწმუნებულთან გია ჭინჭარაულთან საპრეტენზიო არაფერი მაქვს, კარგი ახალგაზრდაა, გვისმენს და ჩვენს თხოვნებს ითვალისწინებს, ზამთარში შეშის დახმარებაც მივიღე და აგრობარათიც გადმომცეს, მაგრამ მარტოხელა ვარ, არც შვილი მყავს და ქმარიც მომიკვდა, სოციალური დახმარება რეალურად მეკუთვნის, მაგრამ ვერაფრით მივიღე, მიზეზად ჩემი უმაღლესი განათლება დამისახელეს. პროფესიით ფილოლოგი ვარ, მაგრამ პენსიონერი, ჩემი განათლება რა ხელს უშლიდა დახმარების მიღებას, ვერ გეტყვით, მაგრამ უარის მიზეზად კი მექცა, ასე მითხრეს, პენსია იკმარეო!“-აცხადებს ქალბატონი ხათუნა.

-„რამდენიმე დღის წინ სოფელში ჩამოიარეს და კაცებს დაგვიძახეს, გვთხოვეს, მეორე დღით, ვისაც როგორ შეგვეძლო, სასაფლაოს ტერიტორიაზე მივსულიყავით და მონაწილეობა მიგვეღო ტერიტორიის გაწმენდით სამუშაო. დილით, რა თქმა უნდა, წავედი, ჩემს გაოცებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც დავინახე, რომ თითქმის მთელი სოფელი გამოსულიყო, ახალგაზრდობა, საშუალო თუ დიდი ასაკის ადამიანები, ყველა იქ შეკრებილიყო, მე ასეთი ერთსულოვანი და ერთიანი ჩემი სოფელი, კარგა ხანია, არ მინახავს და გულწრფელად გითხრათ, გული სიხარულით ამევსო, რაც შეეხება სასაფლაოს, ძირფესვიანად გაიწმინდა და ამას მნახველიც ადვილად შეამჩნევს, ასეთი რამ ჩვენი სოფლის ისტორიას არ ახსოვს. სოფელში ასფალტის ტროტუარებიც დაიგო და უახლოეს ხანში მინი სტადიონის გაკეთებასაც გვპირდებიან, რაც ძალიან მახარებს.”-ამბობს გამარჯვების მკვიდრი, ღვაწლმოსილი ადამიანი, კულტურის ყოფილი მუშაკი ზურაბ ბიკაშვილი.

გამარჯვებელი ნიაზი პაპუაშვილი კი, ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ სოფელს ბუნებრივი აირიც მიეწოდება, ბაღი უფასო აქვთ და არც ექიმის ხელი აკლიათ,-„ ბოლო წლებში სოფელში ცოტა გამოცოცხლება და წინსვლა ნამდვილად შეინიშნება, გამარჯვების ცენტრში ეკლესია შენდება, გზას გვიგებენ და ტროტუარები გაგვიკეთეს, გაკეთდა ეკლესიის და ბაღის განათებაც, აგრობარათებიც მივიღეთ, მაგრამ ნათესები ისე შორს გვაქვს შირაქში, რომ მათ ბოლომდე ყურადღება ველარ მივაქციეთ. ამ დახმარებების მიუხედავად, მოსახლეობის დიდ ნაწილს მაინც უჭირს თავის რჩენა, სოციალური ფონი სოფლებში ჯერ კიდევ დაბალია და ყველანაირი სიკეთის პირობებში, ალბათ, წლები დასჭირდება იმას, რომ ფეხზე მყარად დავდგეთ... რაც შეეხება აფთიაქს, ნამდვილად ყველას ძალიან გვჭირდება. მე თუ მკითხავთ, აფთიაქიც უნდა იყოს სოფელში და ვეტ- აფთიაქიც, მოსახლეობას რაიონამდე წამლისთვის გასვლა უჭირს.“ იმავე დღეს მოვინახულეთ გამარჯვების ცენტრში მშენებარე ეკლესია და მივიღეთ მამა იოანე გივიშვილის დალოცვა, სოფლის გასასვლელში მდებარე გმირთა მემორიალის დასუფთავების აქციასაც შევესწარით. აქ „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები მაკა სულაშვილის და თავად გია ჭინჭარაულის ხელმძღვანელობით, მემორიალს საფუძვლიანად ასუფთავებდნენ, აქვე გახლდათ ამ სოფლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გივი გიგაური, ხოლო თავისი სოფლის ახალგაზრდებით აქციაში მონაწილეობას იღებდა და დახმარებას უწევდა დასუფთავებაში სოფელ არბოშიკის „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი არსენ ბალაშვილი.

სოფელ გამარჯვების რწმუნებულს სოფელში მიმდინარე და განხორციელებულ საქმეებზე ვესაუბრეთ, მისი თქმით, მართალია სოფლის ეკონომიკური განვითარება წინ წავიდა, მაგრამ ჯერ- ჯერობით ხალხი მაინც გაჭირვებაშია და ვერ ახერხებს საკუთარი შრომით ირჩინოს თავი. ამიტომ, ითვალისწინებენ რა ხალხის მდგომარეობას, გასულ და წლევანდელ წელს სოციალური დახმარების მიმღებ ოჯახთა რიცხვი გაიზარდა და დღეის მდგომარეობით, სოფელ გამარჯვებაში 82 ოჯახი სოციალურ დახმარებას იღებს.

-„ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სოციალური დახმარების ოდენობა 30 ლარიდან 60 ლარამდე გაიზარდა ერთ სულ მოსახლეზე. სოფლის ყველა მაცხოვრებელი სამედიცინო დაზღვევით სარგებლობს, თუ 2011 წელს 8 ოჯახს დაეხმარნენ ზამთარში სათბობი საშუალებით, ჩვენი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ 2012 წელს 12 ოჯახს, 2013 წელს 25 ოჯახს, ხოლო 2014 წელს 38 ოჯახს დავეხმარეთ.“-აღნიშნავს გია ჭინჭარაული.



-„2013 წელს 700-ზე მეტმა, ერთიდან ხუთ ჰექტრამდე მიწის ნაკვეთის მფლობელმა, მიიღო სასოფლო-სამეურნეო ბარათი, ხოლო 2014 წელს - 200-ზე მეტმა ერთ ჰექტრამდე მიწის მფლობელმა. 2013 წელს სოფლის დახმარების პროგრამით განხორციელდა შიდა გზების მოხრეშვა-რეაბილიტაცია. დარჩენილი თანხით დამონტაჟდა საბავშვო ბაღის და მშენებარე ეკლესიის გარე განათება. შევისყიდეთ საჭიდაო ტატამი, დაეგო ახალი ტროტუარები, რაც 90-იანი წლების შემდეგ არცერთ ხელისუფლებას არ გაუკეთებია. წელს მოეწყობა სოფელ მაჩხაანის წყალგაყვანილობა, რისთვისაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილია ნახევარ მილიონ ლარზე მეტი. ამით ჩვენს სოფელს საშუალება ექნება, გაეზარდოს დებეტი თავწყაროს ხაზიდან, რომელიც მაჩხაანში მიედინება, რაც ჩვენი სოფლის წყლით სრულ უზრუნველყოფას გამოიწვევს. 2013 წელს სკოლის მოსწავლეებს საჩუქრად გადავეცით 3 ბურთი( ფრენბურთის, ფეხბურთის და კალათბურთის), მაგიდის ჩოგბურთის ჩოგნები, ახალგაზრდობის მიერ მოწყობილ სპორტულ დარბაზს გადავეცით კრივის ტომარა(გრუშა),5 წყვილი კრივის ხელთათმანი, სასწავლო ლაპები. მაგიდის ჩოგბურთის (ტენისი) ჩოგნები და ბურთები. 2013 წელს 30 მარტს დედოფლისწყაროს კულტურის სახლში ჩავატარეთ საქველმოქმედო კონცერტი ჩვენი სოფლის ეკლესიის მშენებლობისთვის, ამავე წლის შემოდგომაზე კი, ასევე საქველმოქმედო ღონისძიება ჩავატარეთ ქალაქ თბილისში გამარჯვების და სოფელ სამთაწყაროს ეკლესიების მშენებლობისთვის. 2013 წელს მოვაწყეთ სოფლის ცენტრალური გზების დასუფთავება, რაშიც აქტიურად ჩაერთო ჩვენი სოფლის მოსწავლე-ახალგაზრდობა. ამჟამად ქალაქ თბილისში მცხოვრებმა, წარმოშობით გამარჯვებელმა გივი ფიროსმანაშვილმა ხელფასი გადაუხადა 10 ახალგაზრდას, რათა გაეჭრათ მთელი სოფლის ცენტრალურ გზაზე ეკალბარდები, ჯაგის ბუჩქები და მოეთიბათ ბალახი. ამით ახალგაზრდები დასაქმდნენ და გასუფთავდა ცენტრალური გზის მიმდებარე ტერიტორიაც. აღდგომამდე რამდენიმე ხნით ადრე მოვაწყეთ სოფლის სასაფლაოს გასუფთავების აქცია, სადაც სოფლის მამაკაცები სრულიად უსასყიდლოდ გამოვიდნენ და იმუშავეს. ეს კიდევ ერთი კარგი მაგალითი იყო სოფლის ერთსულოვნებისა, იმისა, თუ როგორ შეიძლება ადამიანების გაერთიანება და ერთიანი ძალით საქმის კეთება.“-ამბობს სოფელ გამარჯვების ახალგაზრდა ლიდერი.

რაც შეეხება სოფლის მძიმე სოციალურ ფონს და დასაქმებას, როგორც ჩანს, აქაც გამოინახა გზები და დაისახა გეგმები.-„სოფელ გამარჯვებაში ყოფილი “ბოინის” ტერიტორიაზე შენდება ხორცკომბინატი, სადაც დაიკვლება საქონელი და გადამუშავდება ხორცი. ადგილზე მოხდება ძეხვისა და სოსისის წარმოება, ადგილობრივ მოსახლეობას კი საშუალება ექნება, საბაზრო ღირებულების ფასში ჩააბაროს და გაყიდოს კერძო საქონელი, ღორი და ძროხა. 2013 -2014 წლებში საახალწლოდ ყველა ბავშვს, მრავალშვილიან დედას და მარჩენალდაკარგულ ოჯახს დაურიგდა გამგეობისგან საახალწლო ტკბილეული. წელს სოფლის დახმარების პროგრამით კეთდება ხელოვნურ-საფარიანი მინი სტადიონი და მოხდება შიდა საუბნო გზების მოხრეშვა-რეაბილიტაცია. 2013 წლის აგვისტოში სოფელ გამარჯვებაში ჩატარდა რაიონის პირველობა ფეხბურთში, სადაც რაიონის ყველა სოფლის გუნდმა მოიყარა თავი, ამ შეჯიბრში სოფელ გამარჯვებამ მეორე ადგილი დაიკავა. წელს გუბერნიის მიერ ჩვენს სოფელში გამოიგზავნა ნერგები, რომელიც სასაფლაოს, ბაღის, გამგეობის, ზღმურდლის ეკლესიის ტერიტორიებზე დავრგეთ.

ამჟამად ვაპირებთ ისტორიული წიგნის დაწერას ჩვენი სოფლის შესახებ, რაშიც მხარდაჭერა გამოხატეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა, პენსიონერმა პედაგოგმა ნათელა ბენაშვილმა და გაზეთ „შირაქის“ რედაქტორმა ნაირა გორაშვილმა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს სოფელს ჰყავდა მთავრობის მიერ 2006 წელს ნაჩუქარი ტრაქტორი, რომელიც დაუდევრობის გამო გაფუჭდა და საკარმიდამო ნაკვეთების მოსახნავად ტრაქტორი რაიონიდან ჩამოჰყავდა მოსახლეობას, გასულ წელს აღნიშნული ტრაქტორი ჩავაბარეთ ახალგაზრდა, ენერგიულ ბიჭს, რომელმაც გამართა ის და წელს ყველა თანასოფლელს საკარმიდამო ეზო დაუმუშავა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ სოფელ გამარჯვებაში მცხოვრებ 14 სოციალურად დაუცველ ოჯახს გამგეობა ყოველთვიურად უხდის ელექტროენერგიის გადასახადს.“-აღნიშნავს გია ჭინჭარაული. სოფელ გამარჯვებაში კოალიცია „ქართულმა ოცნებამ” მაჟორიტარ კანდიდატად მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, გამარჯვების მკვიდრი გივი გიგაური დაასახელა. იმედია, ბატონი გივის ავტორიტეტი და სოფელში განხორციელებული საქმეები არჩევნებზე თავის სათქმელს იტყვის.

ლალი მეხრიშვილი

# მათ რაიონის გარეთ გვასახელეს

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი ირმა ბენაშვილი და მისი ახალგაზრდა გუნდი ძალისხმევას არ იშურებს, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ინტელექტუალურ-შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და სრულყოფისათვის. ისინი შეძლებისდაგვარად უქმნიან მათ შესაბამის პირობებს, ხელს უწყობენ განსაკუთრებულად ნიჭიერ მოსწავლე-ახალგაზრდებს ტრენინგ-სემინარების, კონფერენციების, ფესტივალების, გამოფენების, ოლიმპიადების, საქველმოქმედო აქციების და სხვა ღონისძიებების მოწყობაში. მიმდინარე წელს მათ უამრავი სასწავლო-შემოქმედებითი კონკურსი მოაწყვეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, ბევრი გასვლითი ტურიც სხვადასხვა სოფელში.

2014 წლის 10 მაისს კი თბილისში მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად გაიმართა 68 სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის მესამე, დასკვნითი ეტაპი, რომელზეც გამარჯვებული ბავშვები გამოავლინეს. ამჯერადაც გვასახელეს ჩვენმა მოსწავლეებმა და საუკეთესო შედეგებით დაგვიბრუნდნენ. 1 ხარიხის დიპლომები ხვდათ წილად შემდეგ მოსწავლეებს:

1. **იოსებ ზურაშვილი-N1 საჯარო სკოლა**
2. **ნინო სეფიაშვილი-N1 საჯარო სკოლა**
3. **დავით ჯინაშვილი-N1 საჯარო სკოლა**
4. **თამარ პოპიაშვილი-N2 საჯარო სკოლა**
5. **გიორგი ხოცოიანი-სამრეკლოს საჯარო სკოლა**
6. **სალომე ბარამაშვილი-ქვემო ქედის საჯარო სკოლა**
7. **მარიამ ცხვედიაშვილი-არბოშიკის საჯარო სკოლა**
8. **თინიკო ელაშვილი-არბოშიკი საჯარო სკოლა**
9. **არჩილ თარაშვილი-გამარჯვების საჯარო სკოლა**
10. **მარიამ აბაშიძე-გამარჯვების საჯარო სკოლა**

საბოლოო შედეგების მიხედვით კი სულ წარდგენილი 55 თემიდან 10 ბავშვი 1-ლი ხარისხის დიპლომით, 23 – მეორე ხარისხის, ხოლო 22 – ეროვნული ხარისხის სიგელით დაჯილდოვდა. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექცია მადლობას უხდის მუნიციპალიტეტის გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს და სააღმზრდელო ცენტრის დირექტორს მაია ყოჩიაშვილს მათთვის გაწეული მხარდაჭერისთვის. მათ უახლოეს მომავალში კვლავ უამრავი ღონისძიება აქვთ დაგეგმილი. ჩვენ გვჯერა, კიდევ მრავალჯერ გვასახელებენ ჩვენი ახალგაზრდები.

ელზა ხარაშვილი





# ყველაფერი საუკეთესო წიგნმა მომცა...

„ყველაფერი საუკეთესო რაც ჩემშია, წიგნმა მომცა“,- არაერთხელ უთქვამთ ცნობილ სწავლულებს. სავსებით ვეთანხმებით ამ გამონათქვამს. როგორც დიდი ილია აღნიშნავდა, „უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა“. მეცნიერული საფუძვლების დაუფლება ხომ შესაძლებელია „წიგნით და მხოლოდ წიგნით“.

მაქსიმ გორკი ახალგაზრდებს მოუწოდებდა: „გიყვარდეთ წიგნი, ის შეგიმსუბუქებთ ცხოვრებას, მეგობრულად დაგეხმარებათ გაერკვეთ აზრების, გრძნობების, მოვლენების ჭრელსა და ბობოქარ დომხალში, ის გასწავლით ადამიანისა და საკუთარი თავის პატივისცემას, ის ფრთებს ასხამს გულსა და გონებას ქვეყნიერების, ადამიანის სიყვარულით“.

გაზეთ „შირაქში“ პერიოდულად იბეჭდება მასალები მოსწავლე-ახალგაზრდობის მიერ ჩატარებული ღონისძიების შესახებ. არც სამრეკლოელები ვართ სხვაზე ნაკლებნი. სოფლის ბიბლიოთეკას უნარიანად მართავს ნიჭიერი ქალბატონი მაყვალა მილაძე. იგი მოსწავლე ახალგაზრდებს ხშირად ანებივრებს საინტერესო ღონისძიებებით.



ამჯერადაც ღონისძიება სათაურით „წიგნმა მითხრა, წიგნმა მომცა“ - ქალბატონ მაყვალას კარგად დაუგეგმავს. შედგენილი კითხვარი საინტერესო საკითხებს მოიცავს. თითოეული ბავშვისთვის სხვადასხვა საკითხებია გათვალისწინებული. მონაწილეობას ღებულონდნენ სამრეკლოს საშუალო სკოლის მეშვიდე კლასელები: გიორგი ბოსტოლანაშვილი, ნათია პაპუაშვილი, მარიამ ჩიბუხაშვილი, ანა ჩითინაშვილი, ლანა ყოჩიაშვილი და რატი კაველიძე.

დარბაზი მაყურებელს ვერ იტევს. აქვე არიან რაიონიდან მოწვეული სტუმრები: საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელი მანანა მაჭარაშვილი, გამგეობის კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი, ამავე სამსახურის მთავარი სპეციალისტი ნანული ნატროშვილი, კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორი ნინო ბახუტაშვილი და სხვები.

ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა მაყვალა მილაძემ. ის ნორჩ ინტელექტუალებს წიგნის შესახებ ესაუბრა.

ბავშვებმა აიღეს ბილეთები, მოსაფიქრებლად და პასუხების გასაცემად მათ 15 წუთი მიეცათ. ისინი შეაფასა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ:

ეგული ყოპჩიაშვილი-თავმჯდომარე,

წევრები: მანანა მაჭარაშვილი, ნანული ნატროშვილი და ლევან მაძღარაშვილი.

ნამუშევრების გულდასმით გაანალიზების შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებულები: პირველი ადგილი – გიორგი ბოსტოლნაშვილს, 2 ადგილი – ნათია პაპუაშვილს, 3 ადგილი - ლანა ყოჩიაშვილი.

გამარჯვებული ბავშვები დაჯილდოვდნენ წიგნებით

დარბაზი მყოფნი - დიდებიც და პატარებიც, კმაყოფილები დარჩნენ.

ეგული ყოჩიაშვილი

# დედა ენის ზეიმზე




სამრეკლოს ბაგა-ბაღი ყოველთვის გამოირჩეოდა როგორც მომავალი თაობის კარგი აღზრდით, ასევე კარგი ზეიმებისა და მეცადინეობების ჩატარებით. ამას მოწმობს 14 აპრილს ჩატარებული ზეიმიც, რომელიც დედაენის დღეს მიეძღვნა. ღონისძიებას ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, გამგეობის თანამშრომლები: თამრიკო თამაზაშვილი, მარინა შეითნიშვილი, ირმა ჯანაშვილი, ნინო კვიწინაშვილი, ასევე სოფელ სამრეკლოს რწმუნებული ლევან მაძღარაშვილი. ბავშვებმა თავი გამოიჩინეს აქტიურობით, მხატვრულად ამბობდნენ ლექსებს და მღეროდნენ , ცეკვავდნენ, რაც მასწავლებლის ნინო სუხიტაშვილის დიდი დამსახურებაა და ასევე, მუსიკის მასწავლებლის მაია ლეკაშვილის სისტემატიური მუშაობის შედეგია.

ზეიმის ბოლოს ბაგა-ბაღის დირექტორმა მაკა ზურაშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა ყველა სტუმარს მობრძანებისთვის და აღნიშნა, რომ არცერთ გამგებელს ასე არ მიუტანია გულთან მომავალი თაობის აღზრდის საკითხი და არ დაინტერესებულა თანამშრომლების პირობებით.

**ბაგა -ბაღის დირექტორი**
მაკა ზურაშვილი

# ირაკლი ღარიბაშვილი: — არცერთ მშობელს აღარ უნდა ეშინოდეს, რომ მისი შვილი განათლების გარეშე დარჩება

„ჩვენს ქვეყანაში არცერთ მშობელს აღარ უნდა ეშინოდეს, რომ მისი შვილი განათლების გარეშე დარჩება“, - ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განათლების საერთაშორისო ცენტრის ღია კარის დღეზე შეკრებილ უმაღლესი სასწავლებლების რექტორებსა და სტუდენტებს.

მთავრობის მეთაურმა „ექსპო ჯორჯიაში“ განათლების საერთაშორისო ცენტრის ძირითადი კონცეფცია წარადგინა და ცენტრის შექმნის მიზნები კიდევ ერთხელ განმარტა. მისი განცხადებით, საქართველოს სჭირდება კვალიფიციური კადრები, რომლებსაც საერთაშორისო სტანდატების შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები ექნებათ, ვინაიდან თანამედროვე ეპოქაში მხოლოდ განათლებული და თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი ადამიანები აღწევენ წარმატებას.

პრემიერმა განმარტა, რომ უპირველეს ყოვლისა შერჩეულია დარგები, რომელთა განვითარებაც საქართველოს ამ ეტაპზე ყველაზე მეტად სჭირდება. კონცეფციის მთავარი სიახლე კი, მისი განცხადებით, ის არის, რომ სტუდენტები დაბრუნების შემდეგ სახელმწიფო სამსახურში დასაქმდებიან და თავიანთ ცოდნას საქართველოს მოახმარენ.

გარდა ამისა, განათლების ცენტრი უზრუნველყოფს არა მხოლოდ სტუდენტების საზღვარგარეთ გამგზავრებას, არამედ ადგილზე სხვადასხვა სასწავლო სემინარისა და კურსების მოწყობას, რომელსაც უცხოეთიდან მოწვეული პროფესიონალები გაუძღვებიან.

განათლების საერთაშორისო ცენტრი პრემიერ-მინისტრის ინოვაციური პროექტების ფარგლებში დაარსდა. ცენტრის მიზანია საერთაშორისო სტანდარტების კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალების მომზადება. განათლების საერთაშორისო ცენტრი ახორციელებს 3 პროგრამას - სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დაფინანსება; საზღვარგარეთ მცხოვრები მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მოწვევა საქართველოში, საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამა.

# შენ, დედაჩემის მზითევო, ფარ-ხმალო მამა-პაპისა!

## გიორგი ლეონიძე



3 მაისს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარდა ასოციაცია "წითელწყაროელისა" და საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ ორგანიზებული ღონისძიება – "ვკითხულობთ "ვეფხისტყაოსანს".

ეს ღონისძიება, უკვე წლებია, ტარდება და კარგ ტრადიციად არის ქცეული. მისი მიზანია, მსოფლიო ლიტერატურის შედევრის , უკვდავი შოთას და მისი უკვდავი "ვეფხისტყაოსნის" მიმართ ჩვენი სიყვარულის გამოხატვა, არდავიწყება მის ყოველ ბწკარში გაბნეული მარგალიტებისა, მისი ულევი სიბრძნისა, აფორიზმებისა, რომლებსაც მუდმივად ვიყენებთ ჩვენს ყოველდღიურობაში.

"შენ ხელსატაცი სიტყვა ხარ"! – რა კარგად ესადაგება დიდი გოგლა ლეონიძის ეს სიტყვები მის ყოველ ბწკარს! მართლაც, ჩვენი ემოციებისა თუ აზრების გადმოცემის დროს, ჩვეულებრივ მეტყველებაში, რა ხშირად ვიყენებთ მის ამოუწურავ სიბრძნეს. ყოველი წაკითხვისას კი ვგრძნობთ, რომ რაღაც ახალი აღმოვაჩინეთ, რაღაც ახლებურად გავიგეთ. ამიტომ იყო, რომ ყველა საჩუქარზე ძვირფასი, რაც ქალიშვილს გათხოვების შემდეგ ოჯახიდან მზითევში მიჰქონდა, – იყო "ვეფხისტყაოსანი".

ამ ღონისძიების მიზანი ისიც არის, რომ "თურაშაულის პატრონებმა ტყეში მაჟალო" არ ვეძებოთ. ჩვენს მომავალ თაობებს პატარაობიდანვე შევაყვაროთ ეს ნაწარმოები და მისი სათანადოდ დაფასება ვასწავლოთ.

წლევანდელ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად თავი მოიყარეს საჯარო სკოლების ყველა კლასის მოსწავლეებმა.

დებულების თანახმად, მონაწილეებს შეიძლება წარმოედგინათ ამ ნაწარმოების კითხვა, ზეპირად კითხვა, მხატვრულად კითხვა, აფორიზმები, ვეფხისტყაოსნისადმი მიძღვნილი ლექსები. დიდი რაოდენობით, ასაკის მიხედვით განსაზღვრული, სტროფების ზეპირად მცოდნეები კი "ვეფხისტყაოსნის" ზეპირად მცოდნეთა კლუბის წევრები ხდებოდნენ.

ღონისძიება გახსნა არხილოსკალოს საჯარო სკოლის I კლასის მოსწავლემ გიორგი გვრიტიშვილმა. მან ზეპირად, 15 სტროფით გადმოგვცა "ამბავი როსტევან არაბთა მეფისა". გიორგი იყო ამ კონკურსის ყველაზე პატარა მონაწილეც.

ქვემო ქედის სკოლა 8 მოსწავლით იყო წარმოდგენილი. VIII კლასის მოსწავლემ მარიამ დიდებაშვილმა შესანიშნავად წაიკითხა გიორგი ლეონიძის ლექსი "ვეფხისტყაოსანს". VIII კლასის მოსწავლე თამარ კაიშაურმა ზეპირად წარმოადგინა 130 სტროფი და დაიმსახურა კლუბის წევრობა, კლუბის წევრი გახდა, ასევე, VI კლასელი მარიამ ტოხიშვილი 72 სტროფის ცოდნით. თამარ ლოსეურაშვილმა წარმოგვიდგინა - 50, თინათინ გურასპაულმა – 61, მაკა ბუბუნაურმა – 80, V კლასელმა ნიკა ხარხელაურმა – 32 სტროფი, ნატო კობაიძემ მხატვრულად წაიკითხა "ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე ოდეს გაიპარა".





ოზაანის სკოლა 3 მოსწავლით იყო წარმოდგენილი. თარაშვილი სალომე სამ ნომინაციაში იღებდა მონაწილეობას: მხატვრულად წარმოადგინა "წიგნი ნესტან–დარეჯანისა საყვარელთან მიწერილი", აფორიზმები და 110 სტროფის ზეპირად ცოდნის დემონსტრირება მოახდინა, რითაც დაიმსახურა "ვეფხისტყაოსნის" ზეპირად მცოდნეთა კლუბის წევრობა. კლუბის წევრები გახდნენ, ასევე, 11 წლის ნიკოლოზ ხატიაშვილი, რომელმაც წარმოგვიდგინა ზეპირად 51 სტროფი და 13 წლის ნინო მეხრიშვილი – 99 სტროფით.

"ვეფხისტყაოსნის" დიდი სიყვარული იგრძნობოდა სამთაწყაროელი მოსწავლეების გამოსვლაში. VIII კლასელმა თამუნა მახარაძემ ზეპირად წარმოგვიდგინა 156 სტროფი, რითაც კლუბის წევრიც გახდა და I ადგილიც დაიმსახურა დასწავლილი სტროფების რაოდენობის მიხედვით. IV კლასელებმა გიგა ჭალალიძემ და ლევან ქამაშიძემ ზეპირად წარმოადგინეს შესაბამისად 62 და 50 სტროფი და ასევე, გახდნენ კლუბის წევრები.

ფიროსმანის საჯარო სკოლის სახელით გამოვიდა ორი მოსწავლე – VI კლასელები, სურმანიძე მირანდა, რომელმაც 62 სტროფი იცოდა ზეპირად და მარიამ ირემაძე, რომელმაც 100 სტროფი იცოდა ზეპირად, 12 წლის ბავშვებისთვის ეს დიდი გმირობაა. ორივე მათგანი გახდა,ასევე, კლუბის წევრი.

ხორნაბუჯის საჯარო სკოლა წარმოადგინა II კლასის ორმა მოსწავლემ. ზეპირად წაიკითხეს "ვეფხისტყაოსნის" დასაწყისიდან სტროფები ნიკა გიგოლაშვილმა და გიორგი გონაშვილმა.

101 სტროფის ზეპირად ცოდნის დემონსტრირება მოახდინა ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლემ სოფიო ჯეთერიშვილმა და გახდა კლუბის წევრი.

ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლე ოთარ ტოკლიკიშვილმა 36 სტროფი წარმოადგინა და ქვემო ქედელ ნიკა ხარხელაურთან ერთად კლუბის წევრობის კანდიდატი გახდა. მაყურებლებისა და ჟიურის წინაშე კარგად წარსდგნენ, ასევე, პაპაშვილი ნიკოლოზი, ნატროშვილი მაია, ღორაკუდაშვილი მარიამი, მოდებაძე ერეკლე, ბიძინაშვილი დავითი, ფეიქრიშვილი ნია, შეითნიშვილი ილია, VII კლასის მოსწავლეებმა მალვინა ისმაილოვამ და ეთერ შარმაზანაშვილმა თითოეულმა 43 სტროფის ზეპირად ცოდნის დემონსტრირება მოახდინეს და დაგვპირდნენ, რომ უფრო მეტს ისწავლიან, რათა კლუბის წევრობა დაიმსახურონ.

არბოშიკის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, VI კლასელებმა მარიამ ალადაშვილმა და თამარ ალადაშვილმა კიდევ ერთხელ შეგვახსენეს შოთას უკვდავი აფორიზმები, რომ

"სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!"

"გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი."

"სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!"

"რასაცა გასცემ, შენია რაც არა, დაკარგულია!"

და უამრავი სხვა. ზღვასავით მოედინებოდა რუსთაველის სიბრძნე და სიკეთეს, გმირობას, პირდაპირობას, გულუხვობას, ვაჟკაცობას, ულალატობას და კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენ ადამიანურ, ამაღლებულ გრძნობას უმღერდა.

ღონისძიება დამთავრდა. კმაყოფილები იყვნენ ბავშვები, მათი მასწავლებლები, მშობლები, სკოლის დირექტორები, რომელთაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს მათ მომზადებაში და სათანადოდ წარმოჩენაში. მოსწავლეთა ცოდნასა და მონდომებას სათანადოდ აფასებდნენ ჟიურის წევრები: მანანა მაჭარაშვილი – საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელი, ლალი გურასპაული – მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი, თამარ ხარაშვილი – მუზეუმის თანამშრომელი. ყველა მონაწილე დაჯილდოვდა შესაბამისი დიპლომითა და სიგელით.

ერთმანეთს კი დავშორდით იმ პირობით და იმედით, რომ „ვეფხისტყაოსანი" ჩვენი სამაგიდო წიგნი იქნება, რომ ზეპირად ნასწავლ სტროფებს სხვა სტროფებს მივუმატებთ და ბოლოს მთელი წიგნი ზეპირად გვეცოდინება. თუ ზეპირად არა, იმას მაინც ვისწავლით, რომ დიდი შოთას ჰუმანური აზროვნებით ვიცხოვროთ და ვიაროთ ამ ქვეყანაზე.

ეთერ ფიცხელაური
**ასოციაცია „წითელწყაროელის" თავმჯდომარე**



# თამარ მეფის ქამრის ესკიზი პირველად გამოქვეყნდა

ეროვნული არქივი პირველად აქვეყნებს საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს - ქამრის ესკიზს, რომელშიც, ესკიზთან ერთად, წარმოდგენილია ინფორმაცია თამარ მეფის ქამრის არსებობის შესახებ.



ამ დოკუმენტთან დაკავშირებით, ეროვნულმა არქივმა საგანგებო კვლევა ჩაატარა, რომლის შედეგადაც მოძიებულ იქნა ესკიზით დამზადებული ქამრის ბალთა და დადგინდა „თამარ მეფის ქამართან" დაკავშირებული გარკვეული დეტალები.

კერძოდ: ესკიზზე არსებული წარწერის მიხედვით, მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს სვანეთის ერთ-ერთ გამოქვაბულში ნაპოვნი იქნა განძი, რომელშიც იყო „თამარ მეფის ქამარი"; შუაში ბაგრატოვანთა სამეფო გვირგვინის გამოსახულებით, ძვირფასი თვლებით მოოჭვილი, მასიური მოოქროული ვერცხლისგან დამზადებული.

1896 წლის 12 აგვისტოს ქამრის აღწერა გააკეთა ციცინო დადიანმა და „თამარის ქამრის" საფუძველზე შეადგინა (ან შეადგენინა) ახალი, საკუთარი ქამრის ესკიზი (სწორედ ის ესკიზი, რომელიც არქივში ინახება). ესკიზის საფუძველზე დამზადებული ქამრის ბალთა მას 1933 წლამდე ჰქონდა, ხოლო შემდეგ ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმს ჩააბარა, სადაც დღემდე ინახება. ქამრის ორიგინალის ბედი კი აქამდე გაურკვეველია.

ესკიზზე გამოსახული ქამრის ბალთის მფლობელი ციცინო დადიანი ბესარიონ დადიანის ასული და ვარლამ ერისთავის მეუღლე იყო. მას ღრმა მოხუცებულობამდე უცხოვრია და ანა კალანდაძის კარგი ნაცნობი ყოფილა, სწორედ მას ეძღვნება ანა კალანდაძის ერთ-ერთი ადრეული ლექსი.

სავარაუდოდ, 1933 წლისათვის ციცინო დადიანი მძიმე მდგომარეობაში იყო: ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმისათვის მის მიერ ჩაბარებული ქამრის ბალთას 5 ძვირფასი თვალი აკლია და საკმაოდ დაზიანებულია.

ამ მნიშვნელოვანი კვლევის შედეგების საზოგადოებისათვის გაცნობას ეროვნული არქივი თამარ მეფის ხსენების დღეს უძღვნის.

# ჰომოფობია და საზოგადოება

17 მაისი ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა. საქართველოს პატრიარქმა ეს დღე ოჯახების სიწმინდის დაცვის დღედ გამოაცხადა. რა თქმა უნდა, პატრიარქის წინადადება ქართველი ხალხისთვის მისაღებიცაა და სასურველიც, მით უფრო მძიმე დემოგრაფიული პირობების ფონზე, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, ჰომოფობიის თემას შევხებოდი.

საბჭოთა კავშირში „არ არსებობდნენ“ არც „ინვალიდები“ და არც ჰომოსექსუალები, არსებობდა სისხლის სამართლის 121-ე მუხლი, რომელიც ჰომოსექსუალების ცხოვრებას „არეგულირებდა“ - ისინი ციხეში ან ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ხვდებოდნენ. არსებობდა ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკებიც, სადაც ხშირად საზოგადოების „არასასურველ“, „მახინჯ“ წევრებს - „ინვალიდებს“ ასახლებდნენ.

დღეს საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს. არსებობს „მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია“, რომელიც ჰომოსექსუალიზმს დაავადებად არ მიიჩნევს. ასევე არსებობს ინკლუზიური მიდგომაც, რომლის თანახმად - ყველა ადამიანს აქვს ერთ გარემოში თანაარსებობის უფლება. კიდევ არსებობს საქართველოს რესპუბლიკა საბჭოთა წარსულით, დემოკრატიულ წყობაზე გადასვლის სურვილით, ახალი ღირებულებებითა და ახალი ტერმინებით: „ლგბტ“; „შშმპ“; „ინკლუზია“; „გსმ“; „ისგ“; „იგგ“ და სხვა. ტერმნი და აბრევიატურა ბევრია, ალბათ იმდენივე, რამდენიც საბჭოთა პერიოდში, შესაბამისად მათი მნიშვნელობის დაკარგვის - დესემანტიზაციის საშიშროებაც საკმაოდ დიდია.

მაგალითად „ინკლუზიური განათლება“ - უკვე წლებია, საქართველოში ინერგება, რაც ისეთი გარემოსა და სისტემის შექმნას ნიშნავს, რომელიც ნებისმიერი ადამიანისთვის კეთილგანწყობილი, მისაღები და ხელმისაწვდომი იქნება. უფრო ზოგადად კი, ინკლუზია, ინტეგრაციისგან განსხვავებით, არა უმცირესობის უმრავლესობასთან შერწყმას, არამედ უმცირესობისა და უმრავლესობის გაერთიანებას გულისხმობს. საქართველოში ინკლუზიური განათლების დანერგვას არასამთავრობო ორგანიზაციებმა და შემდეგ უკვე სახელმწიფომ , „ეროვნულმა სასწავლო გეგმამ“ შეუწყო ხელი. დღესდღეობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები თანატოლებთან ერთად დადიან თბილისის საჯარო სკოლებსა და ბაღებში. მშობლების აზრი ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით უფრო ხშირად ასეთია: „არავის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მე არ მინდა ჩემს შვილთან ერთად „ავადმყოფი“ ბავშვი სწავლობდეს, ხომ იცით ბავშვები როგორ ბაძავენ ერთმანეს, არ მინდა ცუდი საქციელი და ჩვევები გადმოიღოს ჩემმა შვილმა“, „შეზღუდული ბავშვები ცალკე უნდა სწავლობდნენ“, „ჯობია სპეცსკოლაში სწავლობდნენ, სხვებს ხელი რომ არ შეუშალონ.“




შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მშობლები მიესალმებიან ინკლუზიურ მიდგომას: „გიოს ძალიან უყვარს ბაღში სიარული, ერთობა და ბევრ რამეს სწავლობს. სამწუხაროდ, საზოგადოება არ არის კარგად ინფორმირებული და ძალიან ხშირად ქუჩაში თუ საჯარო ტრანსპორტში შენიშვნას მაძლევენ, ან როცა გაიგებენ რომ აუტისტია, ისე უყურებენ, როგორც “ავადმყოფს“ . დაახლოებით ასეთივე დამოკიდებულება აქვს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვის მშობელსაც: „ინკლუზიური სწავლება ძალიან მნიშვნელოვანია, მე ის მინდა, რომ ჩემი შვილი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი იყოს და არა ის, რომ მისკენ თითს იშვერდნენ, დასცინოდნენ. ბაღი და სკოლა მასაც და დანარჩენებსაც ერთ გარემოში ცხოვრებას მიაჩვევს.“ უცნაურია, რომ იგივე მშობელი, 2013 წლის 17 მაისთან დაკავშირებით სწორედ იმ ადამიანების აზრს იზიარებს, რომლებიც სექსუალურ უმცირესობებზე ძალადობას ანხორციელებენ.

უცნაურია, რომ შზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის დედა იმ მშობელს ემსგავსება, რომელიც ამბობს: „არ მინდა ჩემი შვილის ჯგუფში ინვალიდი ბავშვი სწავლობდესო“.

უცნაურია ისიც, რომ საზოგადეობის გარკვეული ნაწილისგან „სტიგმატიზირებული“, „გიჟად“ შერაცხული ახალგაზრდა ამბობს: „რაც უნდათ ის უქნიათ ამ გეებს, მარა ჩემს თვალწინ ნუ “იზასავებენო.“

უცნაურია, რომ ცერებრალური დამბლის მქონე ბავშვის დედა პედაგოგს სთხოვს: “თუ შეიძლება ჩემი შვილი სხვა ჯგუფში გადაიყვანეთ, არ მინდა აუტისტ ბავშვთან ერთად იყოსო.“

უცნაურია , რომ ინკლუზიური მიდგომა მოგვწონს, ქრისტიანულ ღირებულებებს “ვაღიარებთ“ და თავგამოდებით ვცდილობთ „უმრავლეობას“ მივეწებოთ.

უცნაურია , რომ ჰომოფობიასთან ბრძოლის დღის აღნიშვნა ქალაქის ყველაზე ცენტრალურ ადგილას ხდება.

„ცენტრის-“, „უმრავლესობის-“ „კოლექტივისადმი“ მიკუთვნებულობის ესოდენ დიდი სურვილი იქნებ საბჭოთა წყობის გავლენაა და მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის ალბათ 90% გვჯერა, რომ ქრისტიანები ვართ, სამყაროს მაინც „საბჭოურად“ - ცუდებად და კარგებად, მტრებად და ძმებად, აღვიქვამთ. და ალბათ, უბრალოდ, ღირებულებებში ვირევით, ვეღარ ვიგებთ, ვინ აღვიქვათ „ჩვენიანებად“ და ვინ „სხვებად“ - თან ამდენი „უცხოელის“ ამდენი „სხვანაირი“ ადამიანის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ჰომოსექსუალების, ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების - ამდენი სიახლის გამოჩენა „განსხვავებულობის“ მიღება - არმიღების არჩევანის წინაშე გვაყენებს საბჭოთა წარსულის მქონე, „ყველაზე სტუმართმოყვარე“ ერს.

2013 წლის 17 მაისს, ჰომოფობიასთან ბრძოლის დღეს, საკმაოდ კარგად გამოჩნდა როგორი არჩევანი გააკეთა მოსახლეობის საკმაოდ დიდმა ნაწილმა. ისიც გამოჩნდა, რომ, სხვადასხვა მიზეზის გამო, უმცირესობაში მყოფმა ადამიანებმა ჰომოფობია საერთო პრობლემად არ აღიქვეს. ვერ ან არ მიხვდნენ, რომ ჰომოსექსუალზე „გაშვერილი თითი“ , იგივე „თითია“, რომელსაც იმავე წარმატებით ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან სხვა ნებისმერი „ნიშნით“ განსხვავებულ ადამიანზე გაიშვერენ.

გასაგებია, რომ გაერთიანების სურვილი არსებობს და უცნაურია, რომ საზოგადეობის დიდ ნაწილს ინკლუზიურ მიდგომაზე, ქრისტიანულ ღირებულებებზე უფრო მეტად „უცხოს“ ეგრეთწოდებული „ნორმისგან“ განსხვავებული ადამიანების შიში - ჰომოფობია აერთიანებს. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როცა საქართველოს პარლამენტმა ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღო. მართალია, ამ კანონში ისეთი არაფერი წერია, რაც მანამდე კონსტიტუციაში არ ყოფილიყო განსაზღვრული, მაგრამ საზოგადოების ნაწილმა მაინც მიიჩნია, რომ ამ კანონის მიღებით ხელისუფლება სამომავლოდ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების ლეგიტიმაციის საფუძველს ამზადებდა.

ალბათ დამეთანხმებით, რომ საქართველოში, სადაც რელიგიას ჩვენი ისტორიისა და კულტურის განმსაზღვრელ ნაწილად მივიჩნევთ, ძალიან ძნელია, სექსუალურმა უმცირესობებმა ძლიერი დასაყრდენი იპოვონ, თუნდაც სახელისუფლებო ეშელონებში, ლაპარაკი ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე ხომ სრული აბსურდია. ჩვენს საზოგადოებაში ტრადიციებს გაცილებით დიდი ძალა აქვს, ვიდრე კანონებს, მაგრამ ქვეყანაში უსაფრთხოდ ცხოვრების უფლება ყველას აქვს, მათ შორის, „ბუნების შეცდომებსაც“, როგორც ხშირად საზოგადოება სექსუალურ უმცირესობებს უწოდებს.

**მასალა მოამზადა**
ინგა შიოლაშვილმა






# ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მირონმდინარე ხატის მოგზაურობა საქართველოში

2006 წლის ოქტომბერში, ჰავაის კუნძულებზე მცხოვრებ ერთ-ერთ ოჯახში ვარდის საოცარი სურნელება იგრძნეს. ოჯახის უფროსს, ნექტარიოს იანქსონს, თავიდან ეგონა, რომ ოჯახის რომელიმე წევრის მოტანილი რაიმე ნივთი გამოსცემდა ამ სურნელს,მაგრამ ეს მოსაზრება ყველამ უარყო. მაშინ დაიწყეს ძებნა, მიყვნენ სურნელებას და წიგნის თაროზე, სულ მაღლა, აღმოაჩინეს ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ფოტოასლი, რომელსაც იქაურობა მირონით დაესველებინა.

შეძრწუნებულმა ნექტარიოსმა ძვირფასი აღმოჩენა მართლმადიდებლურ ტაძარში წააბრძანა და მამა ანატოლის გადასცა. მოძღვარმა პარაკლისი გადაიხადა, რომლის დროსაც კიდევ უფრო გაძლიერდა მირონდენა. და მამა ანტონმა იქ მყოფთ უთხრა: ეს მირონმდინარე ღვთისმშობლის ხატი შეცვლის ჩვენს ცხოვრებას!

ნექტარიოსმა და მისმა ოჯახის წევრებმა, რომელთაც შიში და კრძალვა მორეოდათ, გადაწყვიტეს, ეს ხატი ეკლესიისათვის მიენდოთ და იგი სან-ფრანცისკოს საეპისკოპოსო ტაძარში მთავარეპისკოპოსს დაუტოვეს. მაგრამ 6 თვის შემდეგ მისგან შემდეგი შინაარსის შეტყობინება მიიღეს: წმინდა სინოდის განჩინებით, ხატი მათთან უნდა დაბრუნებულიყო, ნექტარიოსი მისი მცველი უნდა გამხდარიყო და ხატს მთელი მსოფლიო უნდა მოევლო.

ასეც მოხდა: ხატმა მოიარა უამრავი ქვეყანა, მათ შორის, ჩრდილოეთ ამერიკა, რუმინეთი, საბერძნეთი, რუსეთი.. ათონზეც ბრძანდებოდა... ახლა კი, 6 მაისს, საქართველოშიც ინება ჩამობრძანება. დიახ, ინება, რადგან სასწაულმოქმედი ხატი თვითონ წყვეტს, როდის სად უნდა მივიდეს. მაგალითად, ერთხელ სრულიად გამართული მანქანა ვერაფრით დაძრეს ადგილიდან. აქ სადმე, ალბათ, სამლოცველოა და იქ უნდა მისვლაო, მიხვდა ხატის თანმხლები. გაიკითხეს და აღმოჩნდა, რომ მართლაც, რამდენიმე კილომეტრში დედათა მონასტერი იყო. ხატით იქაურობა მოილოცეს, უკან დაბრუნდნენ, მანქანაში ჩასხდნენ და დაუბრკოლებლად გააგრძელეს გზა. საქართველოშიც ასეა: ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი თვითონ წყვეტს, სად უნდა წავიდეს. ამიტომაც ზუსტი განრიგის შედგენა ჭირს. უკვე ბრძანდებოდა ქაშუეთში, სვეტიცხოველში, ალავერდში, ბოდბეში. დღეს მახათას მთაზე მიაბრძანეს და იქიდან დალოცავს თავის წილხვედრ ქვეყანას, გატანჯულსა და გავერანებულს.

მიუხედავად იმისა, რომ მირონდენა ზოგჯერ წყდება ხოლმე (ასე ხდება, მაგალი-



თად, ვნების შვიდეულში, მაგრამ აღდგომის ღამის დადგომისთანავე კვლავ იფარება სურნელოვანი წვეთებით), ქაშუეთში ყოფნისას მას გამუდმებით სდიოდა მირონი და იმდენი, რომ, კივოტიდან კი არა, კივოტზე შემოკრული მატერიიდანაც კი ჟონავდა. ხოლო სამებაში მიბრძანების შემდეგ, პატრიარქის მიახლებისთანავე, იმდენად იმატა, რომ საფარველი მთლიანად დაუსველდა. ხატის მცველის დაკვირვებით, ასე ხატი მაშინ იქცევა, როდესაც მას განსაკუთრებული სულიერებისა და სიწმინდის მქონე ადამიანი მიეახლება.

ჰავაისად წოდებული ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი მონრეალის მირონმდინარე ივერიის ღვთისმშობლის ხატის ფოტოპირია, რომელიც მისი მცველის, იოსებ მუნიოს კორტესის, სასტიკი რიტუალური მკვლელობის შემდეგ, უკვალოდ გაქრა. ისიც სწორედ ასე, თავის მცველთან ერთად მოგზაურობდა მთელ მსოფლიოში და განსაცდელში მყოფთ ნუგეშად ევლინებოდა. მის შესახებ დაწვრილებით ჩვენს მომდევნო ბლოგში ვისაუბრებთ.

ჰავაის ღვთისმშობლის ხატმა უამრავი სასწაული აღასრულა: ბრმებს თვალისჩინი დაუბრუნა, მრავალი სნეული განკურნა, მათ შორის, სიმსივნით დაავადებულნიც... მაგრამ ნექტარიოსის თქმით, ყველაზე დიდი სასწაული ისაა, რომ მასთან მიახლოებისას ადამიანში სულიერი ფერისცვალება ხდება და მას უჩნდება სურვილი, უფრო ახლოს მივიდეს ღმერთთან.

ხატი საქართველოში 23 მაისამდე დარჩება. 6 მაისიდან მოყოლებული, იგი ტაძრიდან ტაძარში დაბრძანდება და მომლოცველებს აძლიერებს. ეკლესიის მსახურები ცდილობენ, რაც, შეიძლება, მეტმა ადამიანმა შეძლოს ხატთან მიახლება.

ახლა დედაღვთისას მირონმდინარე ხატი საქართველოშია — მაშინ, როდესაც ასე მოძალებულია ღვთის გმობა და უზნეობა, როდესაც მართლმადიდებლური და ქართული ცხოვრების წესი სასაცილოდ არ ჰყოფნით მავანთ, პროგრესისა და დემოკრატიის სახელით მოარულთ, სწორედ მაშინ ინება ჩამობრძანება — დაგვიფაროს, გადაგვარჩინოს, გაგვაძლიეროს და გონს მოგვიყვანოს! განკურნოს ჩვენი დაუძლურებული სულები, აღგვადგინოს და ღირსეულად ცხოვრების სურვილი და ძალა მოგვცეს, ამინ!

15 მაისს ღვთისმშობლის ხატის მირონი დედოფლისწყაროშიც ჩამოაბრძანეს. მრევლმა თაყვანი სცა ღვთისმშობლის მირონმდინარე სასწაულმოქმედი ხატის ასლს და მირონი იცხო.

# არბოშიკის რწმუნებული ტრაგიკულად დაიღუპა

უბედური შემთხვევის შედეგად დედოფლისწყაროში „რესპუბლიკური პარტიის" დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, თურმან კოჭლამაზაშვილი გარდაიცვალა. ის იმავდროულად სოფელ არბოშიკის რწმუნებულის თანამდებობას იკავებდა.

9 მაისს, საღამოს საათებში კოჭლამაზაშვილი სოფელ არბოშიკიდან დედოფლისწყაროს მიმართულებით საკუთარი ჰონდას მარკის ავტომობილით მოძრაობდა, რა დროსაც ნაწვიმარ გზაზე მოცურდა, ხევში გადავარდა და ხეს შეეჯახა.

გარდაცვლილის ცხედარი ექსპერტიზის ჩასატარებლად გურჯაანში გადაასვენეს. მომხდარის დეტალების დასადგენად გამოძიება მუშაობს.

პარლამენტის წევრი ალექსანდრე თამაზაშვილი სოფელ არბოშიკის რწმუნებულის გარდაცვალების ფაქტს ეხმაურება და სამძიმარს უცხადებს.

„თურმან კოჭლამაზაშვილი - კაცი რომელიც ულალატოდ ედგა „კოალიაცია ქართულ ოცნებას" და ღირსეული თანამებრძოლი იყო პირადად ჩემი, უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა. სამძიმარს ვუცხადებ მის ლამაზ ოჯახს და კოალიცია ქართული ოცნების დედოფლისწყაროს საარჩევნო შტაბის წევრებს. ის ჩვენ ყველას ძალიან დაგვაკლდება.. ნათელში იყოს მისი მართალი სული!" - წერს ლექსო თამაზაშვილი.

მომხდართან დაკავშირებით მწუხარება გამოხატა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც სპეციალური განცხადება გაავრცელა. გარდაცვლილის ოჯახს სამძიმარი დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა გამოუცხადა.

---

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მწუხარებას გამოთქვამს თანაგუნდელის

**თურმან კოჭლამაზაშვილის**

ტრაგიკული გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

---

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა იუწყება არბოშიკის რწმუნებულის

**თურმან კოჭლამაზაშვილის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

### გამოსათხოვარი

## თურმან კოჭლამაზაშვილი



კიდევ ერთი მოყმე გამოაკლდა საქართველოს - 41 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა კოალიცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" ღირსეული წევრი, რესპუბლიკური პარტიის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე თურმან კოჭლამაზაშვილი.

სამშობლო იყო მისი ხატი,ამიტომაც არაერთი წელი შეალია ავტორიტარულ რეჟიმთან ბრძოლას.დაუღალავად და უშიშრად იბრძოდა და თანაგუნდელებთან ერთად გაიმარჯვა კიდეც. 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ის სოფელ არბოშიკის თავკაცი გახდა. ბევრი რამ გააკეთა მშობლიური სოფლისთვის, ბევრიც გასაკეთებელი დარჩა. ცხოვრებისა და მოღვაწეობის შუაგზაზე მოუსწრო სიკვდილმა. ასე ინება ბედისწერამ, მაგრამ ჩვენ არ დავნებდებით, არ გავტყდებით და ორმაგი პასუხისმგებლობით გავაგრძელებთ ჩვენს საქმიანობას. გვწამს, რომ ის პატიოსანი ტვირთი, რომელსაც თურმან კოჭლამაზაშვილი ატარებდა, ღირსეულ და საიმედო მხრებზე იქნება შემოდებული და აუცილებლად შესრულდება ყველა მიზანი და გეგმა, რომლის განხორციელებასაც აპირებდა ქართული ოცნება თურმანთან ერთად.

გულმხურვალე მამულიშვილი, პატიოსანი და ალალმართალი-ასეთი დაამახსოვრდება ის თნაგუნდელებს, მეგობრებსა და ახლობლებს.

საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ალექსანდრე თამაზაშვილი და კოალიცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაცია ქედს იხრის თურმან კოჭლამაზაშვილის ნათელი ხსოვნის წინაშე და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს, ნათესავებსა და თანასოფლელებს.

უფალმა შეივედროს მისი სული და დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი.

კოალიცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაცია

---

## თემურ კოჭლამაზაშვილი



თემური, 17 მაისი შენი დაბადების დღეა. პირველად ვხვდებით უშენოდ, ძალიან გვიჭირს უშენობა, სახლში სიცარიელემ დაისადგურა. შენ ძალიან გიყვარდა სტუმრის გამასპინძლება და მათი პატივისცემა, ენატრები შენს შვილს და შვილიშვილებს, არანაკლებად შენს მეგობრებს, შენი შვილის მეგობრებს და ძმისშვილებს.

თემურ, ხომ იცი, მარის როგორ უყვარდი, ყოველთვის, როცა რაიმეს თხოვნა უნდა, მოდის შენს სურათთან, სანთელს ანთებს და გესაუბრება, რატი კი სასაფლაოზე წამოსვლას გვთხოვს ხოლმე. შენ იმდენი სიკეთე და სიტკბო დატოვე, რომ ღმერთმა ნათელში გამყოფოს და სანთელ-საკმეველი არ მოგაკლოს უფალმა. შენ კი მაიდან ილოცე შენი თაზოს ოჯახისათვის.

**შენი ოჯახი**

---

ცოლისძმა ნოდარ გონაშვილი, რძალი ჟუჟუნა გონაშვილი ოჯახით იუწყება

**აივენგო გიორგის ძე გუჩაშვილის**

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: 20 მაისს, 14 საათზე.

მის: ქ. რუსთავი, თოდრიას მე-2 ჩიხი, ბინა 4-10

---

გულნარა ტვილდიანი, ფირუზ ბურდული, ნანა კობაიძე, დათო და თორნიკე ბურდულები ოჯახებით იუწყება

**იოსებ ნათათრალაშვილის**

გარდაცვალებას და თანგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

ქვემო ქედის საჯარო სკოლის დირექცია, პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან

**იოსებ ნათათრალაშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ამავე სკოლის პედაგოგებს მეუღლეს ასმათ ხომასურიძეს და შვილს ლია ნათათრალაშვილს.

---

მეუღლე ასმათი, შვილები: ლია, ია, კობა, შვილიშვილები: ანი, ასმათი, ბარბარე, გიორგი, კობა, ძმა ნოდარი ოჯახით. დები: ალაზა, ზაირა ოჯახებით, დისშვილი მამუკა მამულაშვილი იუწყებიან

**იოსებ ნათათრალაშვილის**

გარდაცვალებას.

დაიკრძალა 15 მაისს, ქვემო ქედში.

# ძიუდოს რესპუბლიკური ტურნირი დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს სპორტულ ცენტრში ბიძინა მაზიაშვილის სახელობის ძიუდოს რესპუბლიკური ტურნირი გაიმართა. ტურნირის თარიღი ყოველწლიურად ძიუდოს ერთ-ერთი ფუძემდებლის ბიძინა მაზიაშვილის დაბადების დღეს საგანგებოდ ემთხვევა და 9 მაისს იმართება. ძიუდოს ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის, ანზორ მარტყოფლიშვილის განცხადებით, წელს დედოფლისწყარომ ტურნირს მეოთხედ უმასპინძლა. ამჯერად მასში მონაწილეობის მისაღებად სპორტსმენები ჩვენი ქვეყნის 11 ქალაქიდან ჩამოვიდნენ.



„ბედნიერი ვარ, რომ მართლაც მშვენიერი ჩემპიონატი შედგა. 95 სპოორტსმენმა იასპარეზა, ძალიან კარგი ახალგაზრდები გამოჩნდნენ. ეს ის თაობაა, რომლებიც გაისად თბილისში ძიუდოს დარბაზში დაგეგმილ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიადაში მიიღებენ მონაწილეობას და ალბათ წარმატებებსაც მიაღწევენ. რაც შეეხება ტურნირის ჩატარების ადგილს, ასეთი ტრადიცია დავამკვიდრეთ, რომ ყოველწლიურად დედოფლისწყაროში იმართება. ეს იმიტომ, რომ ბიძინა მაზიაშვილი დედოფლისწყაროდან იყო. მეც დედოფლისწყაროდან ვარ, ორივე ზემო მაჩხაანელები ვართ და ამიტომ პატივისცემის ნიშნად აქ ჩაეყარა საფუძველი. აქვე მინდა დიდი მადლობა ვუთხრა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს, რადგან დიდი პატივი დასდო ბიძინა მაზიაშვილის ხსოვნას, და ქალაქ დედოფლისწყაროში, რკინიგზის სადგურთან მდებარე ერთ-ერთ ქუჩას სწორედ ბიძინა მაზიაშვილის სახელი მიანიჭა და ეს ძალიან სასიხარულოა," - განუცხადა გაზეთ „შირაქს" ანზორ მარტყოფლიშვილმა.

„ძალიან ამაყი ვარ, რომ ამ ლამაზ დღეს, 9 მაისს, გამარჯვების დღეს დაემთხვა ეს ტურნირი და მე ვარ თქვენი მასპინძელი. ბიძინა მაზიაშვილი ძიუდოს ერთ-ერთ ფუძემდებლად არის აღიარებული და ვფიქრობ, ეს თითოეული დედოფლისწყაროელისთვის და ქართველისთვის საამაყოა. სასიხარულოა, რომ ეს ადამიანი ჩვენი რაიონის შვილი იყო," - აღნიშნა სიტყვით გამოსვლისას დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ასპარეზობა1998-1999 წელს დაბადებულ ძიუდოისტთა შორის გაიმართა. ტურნირში მონაწილეობდა ახმეტის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, გურჯაანის, სიღნაღის, მარტყოფის, საგარეჯოს, თბილისისა და დედოფლისწყაროს გუნდები.

ტურნირზე წარმატებით იასპარეზეს დედოფლისწყაროელმა სპორტსმენებმა.კერძოდ: ვაჟა ბუბუნაურმა - 46კგ.წონით კატეგორიაში დაიკავა პირველი ადგილი (მწვრთნელი კახა წიკლაური); ნიკა კობაიძემ-50 კგ.წონით კატეგორიაში - პირველი ადგილი (მწვრთნელი კახა წიკლაური); ლაშა ბექაურმა-50კგ.წონით კატეგორიაში - მეორე ადგილი (მწვრთნელი კახა წიკლაური); გიორგი წიკლაურმა- 60 კგ.წონით კატეგორიაში-მეორე ადგილი (მწვრთნელი კახა წიკლაური); ბექა გაგაძემ-66 კგ.წონით კატეგორიაში-პირველი ადგილი (მწვრთნელი კახა წიკლაური); ბექა ბუქურმა-50 კგ.წონით კატეგორიაში-მესამე ადგილი(მწვრთნელი ზვიად პატაშური); გიორგი გუგენიშვილმა-81 კგ.წონით კატეგორიაში-მესამე ადგილი (მწვრთნელი ვაჟა მოსულიშვილი).

წარმატებულ სპორტსმენებს მედლები და დიპლომები გადასცა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა. გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა თამარ თამაზაშვილმა და კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორმა ნინო ბახუტაშვილმა.

გელა ბექაური (მწვრთნელი): „ფაქტიურად სოფელ ქვემო ქედში ძიუდო ძირითადი სპორტია და, ზოგადად, ქედების ზონა ჩვენს ნაკრებში წამყვანია. ასევე ამავე ასაკში საქართველოს ნაკრებში რამდენიმე სპორტსმენი ჩვენი სოფლიდან არის. დღესაც წარმატებით იასპარეზეს და რამდენიმე სინჯის მედალი მივიღეთ."

კახა წიკლაური (მწვრთნელი): „კარგი შედეგები ავიღეთ, კარგი ახალგაზრდა თაობა მოდის, ასაკთან შედარებით კარგი შედეგები აქვთ, მათ შორის საერთაშორისო ტურნირებზეც. ჩვენთან არიან საქართველოს ჩემპიონებიც. აქამდე სოფელ არხილოსკალოს სკოლაში ვვარჯიშობდით, ფიზიკურად დარბაზი არ გვაქვს. ახლახან, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დროებით ზემო ქედის დარბაზში გადავედით, იქ გვიწევს ვარჯიში. გვპირდებიან, რომ ყველანაირად ხელს შეგვიწყობენ და პირობებს შეგვიქმნიან. პირობების არარსებობის დროსაც საკმაოდ მაღალი შედეგები გვქონდა და გაუმჯობესების შემთხვევაში, ცხადია, მეტ წარმატებებს ველით"

ძიუდოს ფედერაცია მომავალ წელსაც ბიძინა მაზიაშვილის სახელობის ტურნირის ჩატარებას ტრადიციულად დედოფლისწყაროში გეგმავს და მხარდაჭერისთვის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს მადლობას უხდის.

ილია მარტყოფლიშვილი

## ულოცავენ!

### ნინო ბახუტაშვილს!

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მუდამ ბედნიერი გვენახე შენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები.

### გიგა მაძღარაშვილს!

გიგა, გილოცავთ დაბადების დღეს!

გისურვებთ ნათელ მომავალს, ისეთს, როგორსაც მამაშენი ისურვებდა შენთვის.

გვინდა, შენით ყოველთვის გვეამაყოს მამის მეგობრებს.

**სიყვარულით,**

ალიკა ჭილიტაშვილი, სოსო ნატროშვილი, პაატა ტოკლიკიშვილი.

### გოჩა შეითნიშვილს!

### ლია ჯაღმაიძეს!

ქ. დედოფლისწყაროს №2 საშუალო სკოლის 1989 წლის კურსდამთავრებულები და პირველი მასწავლებელი ნელი შოშიაშვილი ორი ვაჟის მერე ქალიშვილის თამარის დაბადებას ვულოცავთ გოჩა შეითნიშვილს და ლია ჯაღმაიძე. ღმერთმა ბედნიერი, ჯანმრთელი და გონიერი გაზარდოს პატარა თამარი. მშობლების და ძმების მზრუნველობა არ მოჰკლებოდეს.


## სამკურნალო გამაჯანსაღებელი მასაჟის კაბინეტი




გიწვევთ გამაჯანსაღებელ პროცედურებზე. აქ შეგიძლიათ ჩაიტაროთ მკურნალობა ოსტეოქონდროზზე, ინსულტის შემდგომი სარეაბილიტაციო მასაჟი, ასევე, საბავშვო, თაფლის, ანტიცელულიტური, ვაკუუმური, წონის კორექციისა და გამაახალგაზრდავებელი მასაჟები. ასევე შეგიძლიათ ყურის გახვრეტა უმტკივნეულოდ, პისტოლეტით.

**ქ. დედოფლისწყარო, რუსთაველის ქუჩა №55 ან დაგვირეკეთ ტელ: 593 13 40 56**


## მადლიერება

### ქალბატონო მარინა! ქალბატონო ირმა!

მინდა, ულრმესი მადლობა გადაგიხადოთ იმ შრომისთვის და გულისხმიერებისთვის, რასაც თქვენ იჩენთ თქვენი პაციენტებისადმი. თამამად ვიტყვი, ყოველგვარი შელამაზების გარეშე, რომ თქვენ ხართ თქვენი პროფესიისთვის შექმნილნი, გაქვთ ჭეშმარიტი ექიმის თვისებები, გაქვთ დიდი გამოცდილება და ავადმყოფის ცოდვამადლი.

მე ძალიან კმაყოფილი ვარ თქვენი, როგორც მკურნალობის შედეგით, ასევე თქვენი გულისხმიერებით და თბილი მოპყრობით. ამიტომ, უფლება არა მაქვს, ეს არ აღვნიშნო ჩემი მადლიერებით. ეს მადლობა არ არის უბრალოდ სიტყვა... ამას ისეთი გრძნობა აქვს ჩაქსოვილი, რომ ვერც კალმით გადმოვცემ და ვერც ენით.

ალბათ, მკითხველიც მიხვდება, თუ რაოდენ ვარ კმაყოფილი თქვენი მკურნალობით. ამიტომ, ძვირფასო მკითხველო, გირჩევთ თქვენ, ვინც ჩემნაირი გაჭირვებული ხართ, თამამად მიენდეთ მარინა ქორიძეს და მის პროფესიონალიზმს, დანარჩენში კი თვითონ დარწმუნდებით.

მინდა, დიდხანს სიცოცხლე გისურვოთ. ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა, სიყვარული და ბედნიერება პირად ცხოვრებაში. წინსვლა და წარმატებები თქვენს პროფესიონალიზმში.

დედოფლისწყაროელებს კი მოვუწოდებ, თქვენი ჯანმრთელობა ანდეთ კვალიფიციურ მედიკოსებს და მიმართეთ მათ მისამართზე: ფიროსმანის ქ.№18. სამედიცინო ცენტრი „ექიმები თქვენს სამსახურში".

**მუდამ თქვენი მადლიერი**
ციური ტოკლიკიშვილი
**სოფელი ზემო მაჩხაანი.**

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 19.05 | | სამშაბათი 20.05 | | ოთხშაბათი 21.05 | | ხუთშაბათი 22.05 | | პარასკევი 23.05 | | შაბათი 24.05 | | კვირა 25.05 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 18 ° | 16 ° | 19 ° | 17 ° | 18 ° | 16 ° | 20 ° | 19 ° | 21 ° | 20 ° | 22 ° | 18 ° | 18 ° | 16 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.


C M Y K